საქართველოს
მართლმადიდებელ ეკლესიასთან
არსებული ქრისტიანული კვლევის
საერთაშორისო ცენტრი

პერიოდული გამოცემა
„ეროვნული თვითმყოფადობა
საკაცობრიო ღირებულებების
კონტექსტში“

სამეცნიერო სემინარი

ეკლესია და ოჯახი

თბილისი | 2012 | №3

თბილისი, 0179. ნ. რამიშვილის ქ. №35ა, სად. №1, ბ. №1.
ტელ.: +995 (32) 2447730, +995 (32) 2250243
ელ. ფოსტა: secretarial@logos.org.ge; ვებ გვერდი: www.logos.org.ge

საქართველოს
მართლმადიდებელ ეკლესიასთან
არსებული ქრისტიანული კვლევის
საერთაშორისო ცენტრი

პერიოდული გამოცემა
„ეროვნული თვითმყოფადობა
საკაცობრიო ღირებულებების
კონტექსტში“

სამეცნიერო სემინარი

ეკლესია და ოჯახი

თბილისი | 2012 | №3

სემინარი ეძღვნება უწმიდესისა და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
ილია II-ის აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლისთავს.

საქართველოს
მართლმადიდებელ
ეკლესიასთან
არსებული
ქრისტიანული
კვლევის
საერთაშორისო
ცენტრი

მადლობას ვუხდით თიბისი ბანკის
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ მამუკა ხაზარაძეს სამეცნიერო სემინარის
ფინანსური მხარდაჭერისათვის

მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი: „ეროვნული თვითმყოფადობა საკაცობრიო ღირებულებების კონტექსტში“

პრეამბულა

საკაცობრიო ღირებულებების უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ბიბლია. საღმრთო სიბრძნემ საუკუნეებს გაუძლო და დღესაც უდიდეს სამსახურს უწევს ადამიანს. ბიბლიის მიხედვით ჭეშმარიტების შემეცნებისათვის საჭიროა როგორც რაციონალური (ლოგიკური, ცდისეული), ასევე ირაციონალური (ინტუიტიური, მისტიკური) გაგების, წვდომის, ჭვრეტის კულტურა. სარწმუნოებისა და მეცნიერების დაპირისპირება ნიშნავს შემეცნების საზღვრების შევიწროებას, სამყაროს შესახებ არასრული, ცალმხრივი წარმოდგენის შექმნას. ისტორიაში ყოფილა არაერთი მაგალითი როგორც მისტიკური ჭვრეტის წინაშე ლოგიკური აზროვნების როლის დამცირებისა, ასევე ცდისეული მეთოდის აბსოლუტური უპირატესობის აღიარებისა სულიერთან შედარებით. ქართული კულტურა ყოველთვის გამოირჩეოდა გულისა და გონების ჰარმონიული მონაწილეობით შემეცნებისა და შემოქმედების პროცესში. ტაო-კლარჯეთისა და ათონის სკოლის ტრადიციების

გამგრძელებელი გელათის აკადემიის უმთავრესი იდეა იყო კავშირი სულიერებისა და ინტელექტისა. ამიტომაც ეწოდა გელათის საღვთისმეტყველო კერას მეორე იერუსალიმი და სხვა ათინა.

წმინდა ილია მართალის მოსწრებული სიტყვით მე-19 საუკუნის წმინდა მღვდელთმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა. საქართველოში ეს ტრადიცია დღესაც ცოცხალია.

საკაცობრიო ღირებულებები ჭეშმარიტების შემეცნების საიმედო ორიენტირია ყველა ერისათვის, მაგრამ ამავე დროს ყოველ ერს მსოფლიო კულტურის საგანძურში შეაქვს თავისი განუმეორებელი ხელწერა, რითაც მდიდრდება და მრავალფეროვანი ხდება საკაცობრიო მემკვიდრეობა.

ვაჟა-ფშაველა წერდა: „ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის.“

თვითმყოფადი ეროვნული კულტურების გარეშე ვერ შეიქმნება საკაცობრიო საუნჯე და, პირიქით, საკაცობრიო ღირებულებების გაუთვალისწინებლად ეროვნული ცნობიერება იქნება შეზღუდული და უნაყოფო.

ამ სულისკვეთებისადმი ერთგულებით ჩვენს თანამედროვეთა შორის გამოირჩევა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საღვთისმეტყველო და შემოქმედებითი მოღვაწეობა. მისი უწმიდესობის აზრით, საქართველოს ეროვნული იდეა გულისხმობს სამი უდიდესი ღირებულების ერთიანობას. ეს ღირებულებებია – ღმერთი, სამშობლო და ადამიანი.

ჩვენი სემინარის უმთავრესი მიზანი სწორედ ის გახლავთ, რომ ჩვენი საზოგადოების წინაშე არსებული უმნიშვნელოვანესი პრობლემები განხილულ იქნას ზემოხსენებული ფასეულობების ფონზე.

სემინარის თემატიკა

- სარწმუნოება და მეცნიერება
- ეროვნული იდეის არსი ცნობიერება
- ეკლესია და პიროვნული თავისუფლება
- სარწმუნოება და ფსიქოთერაპია
- ეკლესია და ოჯახი
- ეკლესია და განათლება
- ეკლესია და ახალგაზრდობა
- ეკლესია და კულტურა
- ეკლესია და მასმედია
- ეკლესია და ეკონომიკა
- ეკლესია და სოფლის მეურნეობა
- ეკლესია და სახელმწიფო
- საერთაშორისო ურთიერთობები და გლობალიზაცია

სემინარის პრობლემატიკა განხილული იქნება ორი თვალსაწიერით – მართლმადიდებლური სწავლებისა და თანამედროვე მეცნიერული შეხედულებების შესაბამისად. წარმოდგენილი იქნება ორი მოხსენება: ერთი – ღვთისმსახურთა და მეორე – მეცნიერთა წარმომადგენლის მიერ.

სემინარი „ეკლესია და ოჯახი“ გაიმართა 2012 წლის 30 აპრილს ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში.

ძირითადი მომხსენებლები:

დეკანოზი ბიძინა (გუნია)
„ქრისტიანული ოჯახი“

თბილისის ილიას უნივერსიტეტის პროფესორი
ავთანდილ სულაბერიძე
„ოჯახის მოდერნიზაციის პრობლემები ქართულ ყოფაში“

თემის განხილვაში მონაწილეობდნენ
(გამოსვლათა რიგის მიხედვით):

ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი
ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი)

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის უნივერ-
სიტეტის რექტორი, არქიმანდრიტი
ადამი (ახალაძე)

აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი (შესავალი სიტყვა)

პროფესორი ალექსანდრე დაუშვილი
(სემინარის კოორდინატორი)

პროფესორები: ვალერიან ითონიშვილი, გიორგი წულაძე, ლელა მენაბდიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი.

ამ გამოსვლების სრული ტექსტი შეიძლება იხილოთ
ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის ოფიციალურ
ვებ-გვერზე www.Logos.org.ge

ქრისტიანული ოჯახი

წმინდა სამების საკათედრო ტაძრის დეკანოზი
ბიძინა (გუნია)

წინათქმა

მორწმუნე ადამიანის ცნობიერება და სოფლაღქმა, მკვეთრად განსხვავდება ურწმუნო ადამიანის შეხედულებებისა და წარმოდგენებისაგან. მართლმადიდებელი ადამიანის თვალსაწიერი ამქვეყნიურ, მიწიერ საზღვრებს სცილდება და დროში მარადისობას ჭვრეტს. მისი ცნობიერება სამყაროს არსებობას მოიცავს ქვეყნიერების შექმნიდან ვიდრე მეორედ მოსვლამდე, და მის შემდგომ პერიოდსაც – მარადიულ ცხოვრებას, რომელსაც უაღრესად ნათლად წარმოგვიჩენს მართლმადიდებლური სარწმუნოების სიმბოლო (მრწამსი): ***„...მოველი აღდგომასა მკვდრეთით. და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა. ამინ“.***

ამგვარად, ჭეშმარიტი მორწმუნისათვის, ხილულ სამყაროსთან ერთად, პარალელურად, უხილავი სულიერი სამყაროც არსებობს და ეკლესიური ცხოვრებით, ორივე სამყაროს რეალიების თანაზიარი ხდება. ამასთან, იგი აცნობიერებს, რომ ღვთის მიერ დადგენილი წესით, ორივე სამყარო განმსჭვალავს ერთმანეთს, სადაც იერარქიულად უპირატესი ადგილი ხილულ სამყაროს განეკუთვნება.

რადიკალურად განსხვავებულია ამქვეყნიური საზრუნავით დამძიმებული, ოდენ ყოფით პრობლემებს გადაგებული ადამიანის ცნობიერება, რაც უკლებლივ აისახება მის ქმედებებსა თუ აზროვნების წესზე, მის სულიერ ღირებულებათა სისტემაზე, მთელ მის ცხოვრებაზე. ასეთი ადამიანი, გარეგნულად, შეიძლება მორწმუნედაც წარმოუჩნდეს სულიერ ცხოვრებაში გამოუცდელი პიროვნების მზერას, რაზეც ასე შეგვაგონებს პავლე მოციქული:

– „ღმერთსა აღიარებენ ვითარმედ იციან, ხოლო საქმით უარჰყოფენ, საძაგელ არიან და ურჩნი, და ყოვლისა მიმართ საქმისა კეთილისა გამოუცდელ“ (ტიტე, 1:16). ანდა,
– „რამეთუ უმეცარ იყვნეს იგინი სიმართლისა მისგან ღმრთისა და თვისსა მას სიმართლესა ეძიებდეს დამტკიცებად და სიმართლესა ღმრთისასა არა დაემორჩილნეს“ (რომ. 10,3).

ქრისტიანული ოჯახის არსის წარმოჩენისათვის აუცილებელია იმის გაცნობიერება, რომ შემოქმედმა ***ადამიანი*** მთელ მიწიერ სამყაროზე აამაღლა, მიანიჭა გონება და თავისუფალი ნება, განაშვენა თავისი ***ხატებით*** და ამით მისი განსაკუთრებული, მაღალი დანიშნულება გამოკვეთა. ადამიანის სულიერი თვალთახედვა ღმერთისა და სულიერი სამყაროსკენ არის მიმართული, სხეულებრივი კი ნივთიერ სამყაროს აღიქვამს.

ადამიანის უპირველესი დანიშნულება ღვთის განდიდებაა. იგი მოწოდებულია უერთგულოს ღმერთთან არსებულ კავშირს, შეიცნოს და განადიდოს შემოქმედი, სულით ისწრაფოდეს მისკენ, ხარობდეს მასთან ერთობით და მასში ცხოვრობდეს. ამისთვის ადამიანი *თავისი პირველსახის* ღირსი უნდა შეიქნას. სხვა სიტყვებით – იგი მოწოდებულია ვიდოდეს სრულყოფისაკენ, გაუფრთხილდეს თავის თავში ღვთის ***ხატებას***, და აღორძინებისა და სულიერი სრულყოფილების გზით ღვთის ***მსგავსებას*** მიაღწიოს.

ყოველივე ზემოთქმულის მოხმობა ერთობ მნიშვნელოვნად გვესახება ***ქრისტიანული ოჯახის*** ჭეშმარიტი დანიშნულების წარმოჩენისათვის, რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი ცრუ ორიენტირის, წარმოსახვისა თუ ილუზიისაგან, და რაზეც ცხადად მიანიშნებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II თავის ქადაგებებში. კერძოდ, იგი ბრძანებს:
– *„ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც კაცობრიობის წინაშე დგას,* ***ოჯახის პრობლემაა****, რომელიც იმის გარკვევას გულისხმობს, თუ როგორი ურთიერთობა*

უნდა არსებობდეს როგორც მეუღლეთა, ისე მშობლებსა და შვილებს შორის“ ***(ილია II, 1997: 167).*** მისივე შეგონებით:
– „მტკიცე ოჯახი – ჩვენი ერის საიმედო მომავალია. პირველ რიგში იგი უნდა იყოს მტკიცე, რათა ერი და სახელმწიფოც მტკიცე იყოს. თავისთავად ჩნდება კითხვა, რა არის საწინდარი იმისა, რომ ოჯახი მტკიცე იყოს? არსებობს შეხედულება, რომ ოჯახი იგივე მცირე სახელმწიფოა, ...“ ***(ილია II, 1997: 168)*** და მრავალი სხვა, რის შესახებაც გვსურს გავამახვილოთ ყურადღება.

I. ოჯახის არსი და მნიშვნელობა, ოჯახური თანაცხოვრების მიზანი

„...ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“ (მთ. 6, 33), ბრძანებს მაცხოვარი. ეკლესიის წიაღში ცათა სასუფევლის დამკვიდრების ორი კურთხეული გზა არსებობს – ***ქალწულობისა*** და ***ოჯახური თანაცხოვრების,*** ანუ ქრისტიანული ქორწინების. ორივე გზა საპატიოა და ზეცად ამყვანებელი, თუმცა პირველს მეორესთან შედარებით გარკვეული უპირატესობა გააჩნია, რაც სულ მცირედითაც არ აკნინებს ღვთივკურთხეულ ცოლ-ქმრულ ურთიერთობებს, რაზეც ასე განგვსწავლის დედა ეკლესია:
– „საიდუმლოდ ესე დიდ არს, ხოლო მე ვიტყჳ ქრისტესთჳს და ეკლესიისა“ (ეფეს. 5, 32);
–„...დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და შეეყოს ცოლსა თჳისსა, და იყჳნენ ორნივე იგი ერთ ჴორც, ვითარმედ არღარა არიან ორ, არამედ ერთ ჴორც“ (მთ. 19, 5-6);
–„ცოლნი დაემორჩილენით თჳისთა ქმართა, ვითარცა უფალსა, რამეთუ თავი არს ქმარი ცოლისა“ (ეფეს. 5, 22-23);
– „ქმართა გიყჳარდეთ ცოლნი თჳისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყჳარა ეკლესიაჲ, და თჳისი მისცა მისთჳს“ (ეფეს. 5, 25).
–„მოძღვრებად დედათა არა უბრძანებ, არცა მთავრობა ქმრისა, არამედ რაითა იყოს იგი მყუდროებით“(I ტიმ. 2, 12);
უფლისმიერ ამ შეგონებათა ფონზე, გვსურს უწმინდესისა

და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის **ილია II** ქადაგებებიდან ფრაგმენტები მოვიყვანოთ:

– *„...ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების **უმთავრესი მიზანი** სასუფევლის მოპოვებაა, დანარჩენი ყველაფერი, – **სამშობლო, ოჯახი, შვილები**, ახლობლები, მეგობრები და ყოველივე ამქვეყნიური მოღვაწეობა ამ მიზნით უნდა იყოს წარ--მართული“* **(ეპისტოლე, 2012: 16)**;

–*„მიწიერი ჩვენი ყოფა სინამდვილეში გამოცდაა და ჩვენ ვალდებულნი ვართ ეს გამოცდა ჩავაბაროთ. ამას კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ ვიცხოვრებთ **რწმენით, სასოებითა და სიყვარულით**“ (ილია II, 2008: 155);*

–*„**ღვთისმოშიშება, თავმდაბლობა, სიბრძნე, კეთილზნეობა**...*

– *ის თვისებებია, რომელიც კარგი ოჯახის არსებობისათვის აუცილებელ საფუძველს ქმნის“* **(ილია II, 2008: 140)**;

– *„...ჩვენი მიწიერი ყოფა მგზავრობას ჰგავს; ამიტომაც ვისაც არ ახსოვს, რომ იგი სტუმარია წუთისოფლისა და დღეს თუ ხვალ მარადიულ ცხოვრებას უნდა ეზიაროს, გამოუსწორებელ შეცდომას უშვებს“ (* **ილია II, 2008: 145)**;

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არც ერთი ადამიანური ურთიერთობა იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, როგორც ***ქორწინება, ცოლ-ქმრული კავშირი.*** ეს კავშირი უძველესია და ადამიანთა მოდგმის შექმნისთანავეა დადგენილი. იგი დაფუძნებულია სჯულზე, რომელიც ღმერთმა დაადგინა და დაუწესა ადამიანურ ბუნებას. ცალ-ცალკე ***ქალი*** და ***კაცი*** არ არიან ისინი, რაც უნდა იყვნენ თავიანთი არსის თანახმად და მხოლოდ მაშინ იწყებენ სისხლსავსე ცხოვრებას, როდესაც ქორწინებით ერთსულ და ერთხორც იქმნებიან.

უაღრესად დიდი მნიშვნელობის გამო, ეკლესია სათუთად უფრთხილდება რა ოჯახის სიმტკიცესა და ერთიანობას, განაჩინებს:

– „ხოლო მე გეტყვი თქვენ, რამეთუ ყოველმან რომელმან განუტეოს ცოლი თვისი, თვინიერ სიტყვისა სიძვისა, მან ამრუშა იგი“...(მთ. 5.32);

– …„აწ უკუე რომელნი იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებს“ (მთ. 19.6).

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, კვლავ, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ილია II შეგონებას გავიხსენებთ:
– *„სახარებიდან ნათლად ჩანს, რომ ადამიანთა შორის არცერთ ურთიერთობას არა აქვს ისეთი მაღალი დანიშნულება, როგორც ცოლ-ქმრის ურთიერთობას, რომელთა წმიდა კავშირიც უფლისგან განუყოფელი თანაცხოვრებისთვისაა დალოცვილი“* **(ილია II, 2008: 140)** ამდენად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ცოლქმრული ბედნიერება მხოლოდ მაშინ არის ღვთივსათნო და ქების ღირსი, როცა ***მეუღლეები იცავენ*** *უფლის ყველა მცნებას, მისდევენ ქრისტეს ეკლესიის ყველა წესს,* ცდილობენ ღვთივსათნო ცხოვრებას, არიან ერთმანეთის ერთგულნი, პატივს სცემენ ურთიერთს და აქვთ სხვა სათნოებებიც.

II. მეუღლეების ვალდებულებები ღვთის, ქვეყნისა და პიროვნების წინაშე

უწმიდესი და უნეტარესი **ილია II** ერთ-ერთ თავის ქადაგებაში ბრძანებდა, რომ ***თითოეული ადამიანი უნდა ადიდებდეს უფალს, უყვარდეს სამშობლო და უყვარდეს მოყვასი თვისი.*** სწორედ ეს **ტრიადა** გახლავთ ის სულიერი ვექტორი, რომელიც სწორ გეზს განუსაზღვრავს თითოეულ ადამიანს სასუფევლისაკენ.

მისივე მითითებით, *ქრისტიანული ზნეობისა* და *აზროვნების* მთავარი არსი შემდეგი უფლისმიერი სწავლებითაა გადმოცემული **(ილია II 2008: 142): *„შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა.*** *ესე არს დიდი და პირველი მცნებაჲ და მეორე მსგავსი ამისი:* ***შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი.*** *ამათ ორთა მცნებათა ყოველი სჯული*

და წინაღსწარმეტყველნი დამოკიდებულ არიან“ ***(მთ. 22, 37-40).*** სწორედ ზემოხმობილი სიტყვები გახლავთ განმსაზღვრელი ***მეუღლეების ვალდებულებებისა*** ღვთის, ქვეყნისა და მოყვასის წინაშე.

იმის გასარკვევად, თუ რას ნიშნავს **უფლის სიყვარული** წმიდა იოანე მახარებელს მოვუსმინოთ: ***„უკუეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, ... ხოლო რომელსა არა უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი არა დაიმარხნეს“*** **(ინ. 14, 23-24).**

ამგვარად, ცხადზე უცხადესია, რომ სრული ოჯახური ბედნიერებისათვის, ცოლ-ქმარს უფლის სიტყვების მთელი გულისყურით მოსმენა ჰმართებთ, რადგან ბრძანებს უფალი: ***„...თვინიერ ჩემსა არარაღ ძალგიც ყოფად არცა ერთი“ (ინ. 15, 5).*** უფლისმიერი შეგონებით განისაზღვრება კიდეც *თითოეული ადამიანის* ***ჯვარი,*** რომლის შესახებაც ბრძანებს უფალი: ***„...რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსვლაღ, უვარყავნ თავი თვისი, და აღიღენ ჯუარი თვსი და შემომიდეგინ მე“*** **(მკ. 8, 34).**

სხვაგვარადაც ვიტყვით. ოჯახში ისეთი სულიერო გარემო უნდა სუფევდეს, რომ მისი თითოეული წევრი ***ღვთის ნებას*** ეძიებდეს და ძალ-ღონეს არ იშურებდეს მის აღსასრულებლად, რათა მართებული წარმოდგენა ჩამოგვიყალიბდეს ***სიცოცხლის საზრისის*** მიმართ.

მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ილია II 2012 წლის საშობაო ეპისტოლეში ვკითხულობთ:
– *„უღმერთოთა ნაწილი* ***სიცოცხლის აზრს*** *მხოლოდ ამქვეყნიური კეთილდღეობის სხვისთვის შექმნაში ხედავს; სხვანი - შვილების ყოლაში, რადგან მომავალს ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას, მაგრამ მათ არა აქვთ პასუხი თუნდაც ისეთ მარტივ კითხვებზე, როგორიცაა მაგ.: რა აზრი აქვს გამრავლებისათვის ზრუნვას, თუ შთამომავლობა შენთან ერთად არარაობად უნდა იქცეს? მით უმეტეს, რა აზრი აქვს პროგრესს, კაცობრიობისათვის ზრუნვას, თუ ჩვენი მონაპოვარი მოხმარდება მათ, ვინც ხვალ აღარ იარსებებს?*

ეს ადამიანები გარკვეულწილად სხვისთვის ცხოვრობენ, მაგრამ მათი ყოფის მიზანს ***ასეთი აზროვნება სრულიად აუფასურებს.***

ისინი გაცილებით დასაფასებელნი არიან, ვიდრე „ლოგიკურად“ მოაზროვნენი, რომელნიც მიიჩნევენ, რომ ყველაფერი უნდა გააკეთონ საკუთარი ბედნიერებისათვის და ასევე ბედნიერად დაამთავრონ ცხოვრება აქ, რადგან მათთვის იმქვეყნიური არაფერი არ არსებობს.

ეს არის ყველაზე ***პრიმიტიული დამოკიდებულება*** *სიცოცხლისადმი და რაოდენ სამწუხაროა, რომ ჩვენს დროში მსოფლიოში სწორედ ამგვარი განწყობისათვის ხდება ხელის შეწყობა“* **(ეპისტოლე, 2012: 7-8).**

მაცხოვარი იოანე მახარებლის პირით გვამცნობს: ***„თქუენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკუეთუ ჰყოთ, რომელსა ესე გამცნებთ თქუენ“ (იბ. 15, 14),*** რითაც საცნაურდება, რომ ოჯახი ეკლესიის წიაღში აღწევს მთელ სისრულეს, რაც მისი თითოეული წევრის ცხონების აუცილებელი პირობაა.

თუ გონიერი მზერით მიმოვიხილავთ ყველა იმ საშუალებას, რასაც ***დედა ეკლესია*** ფლობს მორწმუნეთა ***ნებელობასა, გულსა*** და ***გონებაზე*** ზემოქმედების მოხდენის მიზნით, სავსებით მართებულად, ***ეკლესია*** დედის მუცელს შეიძლება შევადაროთ. ჩვილი მუცლადყოფნის პერიოდში ვითარდება და შემდეგ იბადება ამქვეყნიური ცხოვრებისათვის. მსგავსად ამისა, ეკლესიის წიაღში, ადამიანი ***(ნათლისღებით) სულიერად იშვება,*** ხოლო საიდუმლოთა მღვდელმოქმედებით, ღვთისმსახურებაში მონაწილეობით, საეკლესიო წესჩვეულებების აღსრულებით, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, ანგელოზებისა და წმინდანთა მეოხებით, ***სულიერად*** იზრდება, ძლიერდება და ვითარდება, რითაც მისი სული უნარს იძენს, მუდამ უფლის სიახლოვეს იმყოფებოდეს, და ამ ქვეყნიდან გასვლის შემდეგ, ***იშვება კიდეც მარადიული ნეტარი ცხოვრებისათვის,*** რაც ოჯახის უპირველეს მისიას წარმოადგენს.

III. ოჯახის სიმტკიცის აუცილებელი პირობები

ერთ-ერთ საშობაო ეპისტოლეში სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II აღნიშნავს: `*დღეს ჩვენი ქვეყანა მრავალი პრობლემის წინაშე დგას. გადაუჭრელი და გამოსასწორებელი ბევრი საკითხია, რომელიც საზოგადოებისგან სწრაფ რეაგირებას ითხოვს, მაგრამ არაფერს არ ექნება აზრი, ... თუ ჩვენს* ***მომავალზე*** *სერიოზულად არ ვიზრუნეთ* **(ილია II, 2008: 144).**

ამგვარად, ქვეყნის წინაშე ერთ-ერთი უდიდესი მოვალეობა ოჯახისა, შვილიერება, ***ბავშვების სწორი აღზრდა*** გახლავთ, რაშიც, მამასთან ერთად, უდიდესი როლი დედას განეკუთვნება.

გვსურს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, მისი უწმიდესობის და უნეტარესობის ილია II ქადაგებებიდან ფრაგმენტი გავიხსენოთ, რომელიც ***ქალის როლის*** წარმოჩენას ეხება: ***„****საზოგადოებაში* ***ქალისთვის*** *უფრო საპატიო და დასაფასებელი მოვალეობა, ვიდრე* ***შვილების სწორი აღზრდაა,*** *არ არსებობს****“.*** ასევე, აქვეა ქალებისადმი მოწოდება გულმხურვალე ლოცვის, მოწყალების საქმეთა და სხვა სათნოებათა აღსრულებისათვის **(ილია II, 1997: 212).**

მართლმადიდებლური თვალთახედვით ქვეყნის ცხოვრებაში ქალის როლი ძალზე მნიშვნელოვანია, რისი დასტურიცაა:
– ქალი მეუღლე, დედა, დიასახლისი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართული;
– ქალი ხატმწერი, საღვთისმსახურო შესამოსლისა და სხვადასხვა ნივთების მქარგველი, ტიხრული მინანქრისა თუ ხეზე კვეთის ოსტატი;
– ქალი ღვთისმსახურებაში ჩართული, როგორც მგალობელი თუ მედავითნე (წიგნის მკითხველი);
– მონაზონი ქალები, რომელთა რიცხვიც დღითი დღე იზრდება
და მრავალი სხვა.

ამდენად, საზოგადოებაში როგორც კაცის, ისე მანდილოსნის როლი ძალზე მნიშვნელოვანია, რაც ქრისტიანული სწავლების თანხმიერია. წმიდა პავლე მოციქული გვამცნობს: ***„არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესუის მიერ“*** **(გალ. 3.28).** ამასთან, კაცს მან-დილოსნისადმი უდიდესი კრძალულებისაკენ მოუწოდებს უფალი, რომელიც ბრძანებს: ***„ქმარნი ეგრეთვე თანამკვდრ ეყვენით შენდობით, ვითარცა უუძლურესსა ჭურჭელსა, დედათა მისცემდით პატივსა, ვითარცა თანამკვდრთა მადლისა ცხორებისაჲთა, რაჲთა არა დაბრკოლდებოდინ ლოცვასა თქუენსა“*** **(1 პეტრ. 3.7).**

მისი უწმიდესობა ბრძანებს:

– *„**ქალზე** დიდად არის დამოკიდებული, თუ რამდენად იღბლიანი იქნება ქორწინება. ამიტომაც თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ ვის ირჩევს ადამიანი ცხოვრების თანამგზავრად. ასევე გასათვალისწინებელია ის წინაპირობანი, რაც განსაზღვრავს ამ კავშირს. თუ **ოჯახის შექმნას** მხოლოდ ხორციელი ვნება, ან ანგარება განსაზღვრავს, ფაქტობრივად იგი თავიდანვე განწირულია დარღვევისათვის, რადგან **მიწიერ, წარმავალ** ღირებულებებზეა დაფუძნებული„* **(ილია II, 2008: 140).**

და კვლავ, მსჯელობს რა ოჯახის სიმტკიცეზე, მისი უწმიდესობა გვმოძღვრავს:

– *„**ოჯახში ნორმალური ცხოვრების დამკვიდრებისათვის** აუცილებელია უფროსის პატივისცემა, იერარქიის დაცვა, მოთმინების უნარი. ასევე უდიდესი სათნოებაა თავდადება. ღირსეული მეუღლენი ერთმანეთისა და შვილებისადმი სწორედ მსხვერპლშეწირული სიყვარულით ცხოვრობენ, რაც მოყვასისადმი მათ ქრისტიანულ დამოკიდებულებას განაპირობებს“* **(ილია II, 2008: 141).**

ოჯახური თანაცხოვრება მეტად რთულია და მის კეთილდღეობას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს, რომელთა შორის სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი **ილია II** განსაკუთრებულ ყურადღებას **აბორტის** თემას უთმობს. იგი

მიიჩნევს რომ კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი ცოდვა ***მუცლად მოწყვეტა – აბორტია.*** მოგვყავს ფრაგმენტები მისი უწმიდესობის ეპისტოლედან:

– *„...ამ ცოდვის ჩამდენ მეუღლეთა თანაცხოვრება თანდათან წამებად იქცევა: შვილები მშობლებს აღარ ემორჩილებიან, ბავშვები ავადმყოფები ჩნდებიან, თვითონ დედ-მამას კი სხვადასხვა დაავადება ახსენებს თავს, გულგრილი ხდება მათი ურთიერთობაც და ღალატი ცხოვრების წესად ექცევათ“* **(ილია II, 2008: 143);**
– *„საზოგადოება სავსეა შვილისმკვლელი მშობლებით და ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ მათ ცოდვის შესატყვისი განცდა არა აქვთ“* **(ილია II 2008: 144);**
– *„რა თვისების მატარებელი იქნება ის თაობა, რომლის დედაც, მამაც, ბებიაც, დეიდაც და, საერთოდ გარშემო მყოფთა წრე, უსასტიკეს მკვლელობათა ჩამდენია. ეს ცოდვა ბუმერანგივით მოუბრუნდება ყველას“* **(ილია II 2008: 144),**

... და მრავალი სხვა, რაც ნათლად წარმოაჩენს ***ძირითად მიზეზებს*** *ოჯახის სულიერი რღვევისა,* თუნდაც რომ გარეგნულად ოჯახი მტკიცე ჩანდეს.

IV. შვილების აღზრდის საკითხი

შვილების აღზრდის საკითხზე საუბარს **წმ. გრიგოლ პალამას** შეგონებით დავიწყებთ, რომლის მიხედვით – *ყოველი პიროვნება, რამდენადაც შესაძლებელია, თანაზიარი უნდა გახდეს* ***ადამიანთა ხსნის საღმრთო აღმშენებლობის გზისა****, რისი* ***დასაწყისიც*** *ნათლისღება გახლავთ,* ***შუა ნაწილი*** *– ღვთისსათნო ცხოვრება და საქმეთა სახარებისეული სწავლებით წარმართვა, ხოლო* ***დასასრული*** *– ვნებებზე გამარჯვება* ***(პალამა, 1993: 217).***

ვფიქრობთ აღნიშნული სწავლება ის ღერძი გახლავთ, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ბავშვთა აღზრდა. *„...ვერანაირი მიწიერი სიმდიდრე, სულიერ სიცარიელეს ვერ ამოავსებს“,*

ბრძანებს მისი უწმიდესობა და მოგვმართავს:
– *„**ბავშვისათვის** მოყვასი მისი ოჯახის წევრებსა და ახლობელთა ვიწრო წრეს ნიშნავს. **მოზრდილი** ადამიანისათვის –„მოყვასის“ სივრცეს მისი ქვეყანა და ხალხი ავსებს. მასთანაა იგი დაკავშირებული სახელმწიფოებრივი თუ პოლიტიკურ-მოქალაქეობრივი ვალდებულებებით. საკუთარი ხალხის კულტურა, ცხოვრების წესი, თუ ტრადიცია არის მისთვის მშობლიური და საყვარელი.*

უკვე სრულად განვითარებული, მაღალი ზნეობის პიროვნებებისათვის კი ნებისმიერი ადამიანი მოყვასია.

*უნდა ითქვას ისიც, რომ მესამე **ასაკობრივი** საფეხური გულისხმობს პირველი და მეორე საფეხურის აუცილებელ არსებობას ისევე, როგორც მეორე საფეხური გულისხმობს პირველი საფეხურის არსებობას“* **(ილია II, 2008: 133).**

პატრიოტულად ბავშვთა აღზრდის თემასთან დაკავშირებით, მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II, **ვაჟა-ფშაველას** მოსაზრებებზე ამახვილებს მორწმუნე ერის ყურადღებას: *„... რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობრებს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას... ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისათვის“* **(ილია II, 2008: 133).**

აჯამებს რა ზემოთქმულს, მისი უწმიდესობა ასკვნის: *„აი, აქა აქვთ დაშვებული შეცდომა კოსმოპოლიტებს. ისინი მესამე საფეხურს მეორის გარეშე მოიაზრებენ და ადამიანებს არაჯანსაღი, უშინაარსო, უსულო საზოგადოების შექმნისაკენ უბიძგებენ“* **(ილია II, 2008: 133).**

და კვლავ უწმიდესი და უნეტარესი დასძენს:
– *„ოჯახი, ახლობელთა წრე, სამშობლო, მოყვასი, სამყარო ის კიბეა, რომლის თითოეული საფეხური მომდევნოს საყრდენია და მის გარეშე წარმოუდგენელია პიროვნების შინაგანი მთლიანობის შექმნა. ამიტომაც, თუ გვსურს ვიყოთ თავისთავადნი და არა უფორმო, უსახო, საზოგადო მასის წარმომადგენელნი, უნდა ვიყოთ ეროვნული სულის ღირსეული მატარებელნი. ასე აღზრდილი ადამიანი ყოველთვის პატივს მიაგებს სხვა ეროვნების წარმომადგენელთ, სათანადოდ აფასებს როგორც საკუთარს, ისე სხვათა ღირსებასა და თავისთავადობას. ასეთი ადამიანი პიროვნებაა, რადგან მას თავისი მეობა აქვს. იგივე ითქმის ერზეც. ასეთი ადამიანებისაგან შემდგარი ერი პიროვნული სახის მატარებელია, თავისთავადია და ამით არის სწორედ დასაფასებელი“* **(ილია II, 2008: 133).**

ამასთან, განავრცობს რა ამ თემაზე საუბარს, ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელი ასე გვმოძღვრავს:

– *„ყოველი ქრისტიანი მოწყალე სამარიტელის მსგავსად არა მხოლოდ თავისიანებისა და ახლობლების, არამედ საერთოდ, მიუხედავად მათი ეროვნებისა და რელიგიური რწმენისა, ყველა ადამიანის მიმართ მოწყალე უნდა იყოს, რადგან ქრისტიანულმა სიყვარულმა საზღვრები არ იცის“* **(ილია II, 1997: 213).**

– *„ჭეშმარიტების შეცნობა და თავისუფლება სუფთა, უმანკო გულიდან მომდინარეობს. გული ჩვენი მესამე თვალია. რწმენა, სასოება და სიყვარული მისი უმთავრესი თვისებებია. მაგრამ ეს სათნოებანი შელახულია ჩვენი ცოდვებით. სწორედ ცოდვით დაცემამ დააშორა ადამიანი ღმერთს. თუ გვსურს უფალთან დაახლოება, ცოდვებისაგან თანდათანობითი განშორებითა და ჩვენი თავის შეცნობით უნდა დავიწყოთ* **(ილია II, 2008: 149-150).**

სწორედ ასე გვესახება მოზარდებში სწორი ორიენტირების, ქრისტიანული აზროვნების ჩამოყალიბება და მათი სულები-

სათვის ზრუნვა, რათა ჩვენც და ჩვენმა შვილებმაც ვისმინოთ ყოვლადსამართლიანი მსაჯულისაგან: – ***„კეთილო მონაო სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა“*** **(მთ. 25,21).**

V. რა უნდა მიიღოს მოზარდმა ოჯახიდან, სკოლიდან და ეკლესიიდან

საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი დღენიადაგ ზრუნავს რა თავის სამწყსოზე, და განსაკუთრებით კი მოზარდ თაობაზე, მთელ ერს მიმართავს:
– *„...დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა კავშირი* ***ოჯახს, სკოლასა და ეკლესიას შორის“*** **(ილია II, 2008: 157).**

ძალზე აქტუალურად გვესახება რა ზემოაღნიშნული შეგონება, დავძენთ:

აუცილებელია იმის გაცნობიერება, თუ რაოდენ განუზომელია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის როლი ქართველი ერის სულიერი მთლიანობის, მისი ზნეობრივი განმტკიცების, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაძლიერებისა და ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. ასევეა დღესაც. ეკლესიისა და სახელმწიფოს ჰარმონიული ურთიერთობის გარეშე არ მოიაზრება პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი ძლიერი სახელმწიფოს, საქართველოს მომავალი. ვერც პოლიტიკური და კულტურული, სოციალური, ეკონომიკური თუ სამართლებრივი საკითხები ვერ მიიღებენ ისეთ მიმართულებას და გადაწყვეტას, რაც ღვთისათვის სათნო და ხალხისთვის საკეთილდღეო იქნება.

წმიდა ილია მართალი, რომელიც ერის უტეხი სულისა და ყოველთა ერთობის ნიშანსვეტად წარმოგვიჩნდება, ასე შეგვაგონებს:
– *„...ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას*

ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისაცა. წარსული – მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ამიტომაც არის ნათქვამი ერთი ბრძნისაგან, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისაო“ **(ჭავჭავაძე, 2005: 368);**

– *„ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა“* **(ჭავჭავაძე, 2005: 425),** *და ა. შ.*

სწორედ ამ სულისკვეთებით უნდა აღიზარდოს მოზარდი თაობა, თუმცა, ვფიქრობთ, ყველამ უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ილია II მითითებები:
– *„მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ამ მოვლენაზე, რომ უფრო ნათლად გავერკვიოთ რა ვითარებაში გვიწევს ცხოვრება.*

საზოგადოებრივი ყოფისადმი „ახალი მიდგომა“ ჯერ გამოიხატა იმით, რომ შეეცადნენ ადამიანისათვის დაევიწყებინათ ***ცოდვის განცდა*** *და ამოქმედდა ასეთი პრინციპი: ნებისმიერი ქმედება მისაღებია, თუ იგი არ ზღუდავს სხვის თავისუფლებას. მაგ.: სხვისი უზნეობა თუ მე არაფერს მიშავებს, ეს ქმედება უარყოფითი აღარ არის...*

და დაიწყო ამგვარი აზროვნების ყველგან დამკვიდრება, რაც არის აჯანყება ზნეობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ. თავისუფლება და ზნეობრიობა ბუნებითია ადამიანისათვის,

რომელიმე მათგანის უგულებელყოფა იწვევს პიროვნების და ასევე საზოგადოების დამახინჯებას“ **(ეპისტოლე, 2012: 8-9).**

უფალი მეფსალმუნე დავითის პირით გვამცნებს:
– „უკეთუმცა ერსა ჩემსა ესმინა ჩემი,... რათამცა მტერნი მათნი დამემდაბლნეს, და მაჭირვებელთა მათთა ზედა დამცა მედგა ხელი ჩემი“ (ფს. 80,13-14).

ვფიქრობთ, ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ჩვენი ერის დღევანდელი რთული ყოფის უმთავრესი მიზეზი, რისთვისაც ჩვენს სათქმელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, მისი **უწმიდესობისა და უნეტარესობის ილია II** ქადაგებებიდან ამოკრებილი ფრაგმენტებით დავასრულებთ:

– „მოგმართავთ ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, შეინარჩუნეთ ჩვენი თვითმყოფადობა, ჩვენი ტრადიციული ქრისტიანული ცხოვრების წესი. ... იბრძოლეთ ჩვენი გმირი წინაპრების მსგავსად, რათა საკუთარ თავში და თქვენს გარშემო დაიცავით თქვენი წილი საქართველო. დღეს ეგ ომია თქვენი დიდგორი, თქვენი ბასიანი **(ილია II, 2008: 192);**
– „უნდა იცოდეთ, რომ ქართული იდეა ორ უმთავრეს სვეტს ეყრდნობა. ესაა სულიერი ღირებულებები ... და ეროვნულ-კულტურული ფასეულობები ...“ **(ილია II, 2008: 192);**
– „...ისწრაფეთ შერიგებისა და ერთსულოვნებისაკენ, ისწავლეთ ერთმანეთის მოსმენა და პატიება, ისწავლეთ საკუთარი ცოდვებისა და შეცდომების დანახვა და სინანული, და თქვენი ცხოვრება სწორი გზით წარიმართება“ **(ილია II, 2008: 160);**
*– „საქართველო კვლავაც აუცილებლად გადარჩება და გაბრწყინდება, მაგრამ ამას განახორციელებს **ის თაობა**, რომელიც ღვთის მცნების დამცველი და მისი ნების აღმსრულებელი იქნება* **(ილია II, 2008: 188).**

ამით ვასრულებთ ჩვენს მწირ სიტყვას და საქართველოს მომავალს ვავედრებთ უფალს, რომლისა არს სუფევა, ძალი და დიდება მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, **ამინ!**

გამოყენებული ლიტერატურა:

ილია II 1997: სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II. ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი – წიგნი II. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 1997.

ილია II 2008: სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II. ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი - წიგნი III. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2008.

ეპისტოლე 2012: სააღდგომო ეპისტოლე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. თბილისი: 2012.

ჭავჭავაძე 2005: წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე ილია), სასკოლო ბიბლიოთეკა, თბილისი: გამომცემლობა – ბაკმი, 2005წ.

ჭელიძე 2007: ჭელიძე ე. სპეკალი მართლმადიდებლობისა. თბილისი: გამომცემლობა „ალილო“, 2007.

პალამა 1993: Св. Григорий Палама. Беседы (Омилии) Святителя Григория Паламы, ч. 1- я. Москва: издательство "Паломник", 1993.

ოჯახის მოდერნიზაციის პრობლემები ქართულ ყოფაში

ავთანდილ სულაბერიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გიორგი წულაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი

ოჯახი არის ქორწინების თუ ნათესაობის საფუძველზე შექმნილი მცირე სოციალური ჯგუფი, რომლის წევრები დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან ყოფა-ცხოვრების ერთიანობით, ურთიერთმხარდაჭერით და მორალური პასუხისმგებლობით. ოჯახის სოციალურ აუცილებლობას განაპირობებს საზოგადოების ფიზიკური და სულიერი განახლების მოთხოვნილება. მიუხედავად ოჯახის არსის შესახებ მრავალი განმარტებისა, მათში თითქმის არაა წარმოჩენილი ოჯახის ქრისტიანული ფასეულობები, ისე სრულად, როგორც იგი სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია II-ს 1989 წლის სააღდგომო ეპისტოლეშია წარმოდგენილი: **ეკლესია ყოველთვის იცავდა ოჯახის სიმტკიცეს და ხელშეუხებლობას, ... წმიდა წერილზე დაყრდნობით ეკლესიამ საუკუნეების მანძილზე გამოიმუშავა ქრისტიანული ქორწინების, შვილიერების, ოჯახური ცხოვრების მტკიცე კანონები, რომელთა დარღვევა არავის ეპატიება, რადგან ოჯახი სახლია ეკლესიისა (ილია II, 1989 წ., სააღდგომო ეპისტოლე).**

თანამედროვე ეტაპზე ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიული მოდერნიზაცია განიხილება, როგორც საზოგადოებრივ ფასეულობათა სისტემაში ფორმირებული ინდივიდუალური ორიენტაციის შესაბამისი ქცევის ახალი სოციალურ-დემოგრაფიული ფასეულობათა და ნორმების ჩამოყალიბება. გასული საუკუნის 70-იან წლებში ევროპაში სოციოლოგთა და დემოგრაფთა მიერ გამოყოფილ იქნა თანამედროვე ოჯახის

მოდერნიზაციის ოთხი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი: 1. იურიდიულად გაუფორმებელი ერთობლივი ცხოვრების (არარეგისტრირებული ქორწინება) და ოჯახის ალტერნატიული ფორმების ფართოდ გავრცელება; 2. ოჯახის ბავშვთა ცენტრული მოდელიდან შვილზე ინდივიდუალურად ორიენტირებულ პარტნიორულ წყვილზე გადასვლა; 3. შვილიანობის შეცნობილ გეგმიანობაზე გადასვლა; 4. ოჯახის ტრადიციული მოდელიდან დემოკრატიულ-პლურალისტულ მოდელზე გადასვლა. ზოგიერთი დემოგრაფი მომავალში ოჯახის ინსტიტუტის გაქრობასაც კი ვარაუდობდა.

თუ განვიხილავთ ამ ნიშნებს საქართველოში, მეორე ნიშანი ქართულ ოჯახში ჯერ კიდევ 1980-იანი წლებიდან აღინიშნება. მესამე ნიშანი გაცილებით ადრე იღებს დასაბამს. პირველი და მეოთხე ნიშანი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ოფიციალურად არ აღიარებულ ჯვრისწერას, ცალკეული შემთხვევების სახით, ძირითადად 2000 წლიდან შეიმჩნევა.

აღნიშნული არსებითად განაპირობა 1990-იან წლებში განვითარებულმა ცნობილმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ქაოსმა. ამ პერიოდში საქართველოში დაირღვა მოსახლეობის აღწარმოების ევოლუციური პროცესი. კერძოდ, დაჩქარდა მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპიდან მოსახლეობის აღწარმოების უახლეს ტიპზე გადასვლის გარდამავალი პერიოდი. გარდამავალი ეტაპის მოსამზადებლად ქვეყანაში არ გატარებულა არავითარი სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკა, რის გამოც ქვეყანა მოუმზადებელი შეხვდა ამ პროცესს. ამიტომ, ოჯახის მოდერნიზაცია 2000 წლამდე უფრო რევოლუციური იყო, ვიდრე ევოლუციური. თუ 2000 წლამდე ქართული ოჯახის ძირითად ფუნქციებზე (დემოგრაფიული, ეკონომიკური, სულიერი და სხვა) ფუნდამენტურ ფაქტორებთან შედარებით, უფრო მეტი გავლენა სპეციფიკურმა პოლიტიკურმა ფაქტორებმა იქონია, 2000 წლის შემდეგ, სპეციფიკურთან შედარებით უფრო მეტად გამოიკვეთა ფუნდამენტურ ფაქტორთა მოქმედების ძალა.

ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიული მოდერნიზაცია, სახელმწიფოს მიერ ყოველთვის ქრისტიანული მოძღვრებისგან მოწყვეტით მიმდინარეობდა და ეს პროცესი თვით სახელმწიფოს მიერ უმეტესწილად არასწორად იმართებოდა. ჯერ კიდევ 1989 წელს, ქვეყანაში არავინ მიაქცია ყურადღება სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის უწმიდესის და უნეტარესის ილია მეორეს გაფრთხილებას: **"ვისაც სურს ეკლესიისაგან საზოგადოების მოწყვეტა, იგი ვერ ხედავს იმ დამღუპველ შედეგს, რაც ამას მოსდევს. რწმენის დაკარგვასთან ერთად იკარგება სიყვარული, თანაგრძნობა, სიმშვიდე, მორჩილება; თავს იჩენს უხეში ეგოიზმი, მომხმარებლის აზროვნება... ყველაზე მძიმე სურათი კი ოჯახში იქმნება, ჩვენ მოწამენი ვართ თუ როგორ დაირღვა დღეს ოჯახის წონასწორობა და მყუდროება, გახშირდა განქორწინება, განსაზღვრულია შობადობა. თუ ყველფერი ასე გაგრძელდა, კატასტროფულ მდგომარეობამდე მივალთ" (ილია II, 1989 წ. სააღდგომო ეპისტოლე).**

აღნიშნულის იგნორირების შედეგი სახეზეა. განვითარებულ ქვეყნებში იზრდება მარტივ ოჯახთა და მცირდება რთულ ოჯახთა წილი, მაგრამ საქართველოსთვის სხვა ტენდენციაა დამახასიათებელი. თუ 1970-1989 წწ. ოჯახის სიდიდეზე მოქმედებდნენ შემდეგი ძირითადი ფაქტორები: ა) ახალგაზრდული ქორწინებების მნიშვნელოვანი ზრდა, ბ) ოჯახების გაყოფის (ნუკლეარიზაცია) შემდგომი გაღრმავება; გ) შობადობის შემცირება და მცირეშვილიან ოჯახთა გავრცელება, 1990 წლიდან ვითარება შეიცვალა.

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, 1989-2002 წწ. ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობა 4,1-დან 3,5 სულამდე შემცირდა. მისი შემცირება, რომ განხორციელებულიყო ახალგაზრდა ოჯახების ცალკე გამოყოფის შედეგად (ნუკლეარიზაცია), იგი დადებით, პროგრესულ მოვლენად ჩაითვლებოდა, მაგრამ მოხდა საპირისპირო. 2002 წლისათვის, მარტოხელები თითქმის გაუთანაბრდნენ 2 და 3 წევრიან, ხოლო 6 და მეტწევრიან ოჯახებს კი 2-3-ჯერ გადააჭარბეს. აღნიშნუ-

ლი გამოწვეულია: დაქვრივების მაღალი დონით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის შედეგად, ქვეყნისათვის მანადმე უცნობი, ფორმირებული დევნილი ოჯახების წარმოქმნით, მაღალი ემიგრაციული პროცესებით, 30 წლის ზემო ასაკში დასაქორწინებელთა მაღალი წილით (ოჯახთა საერთო რაოდენობის 16,1%) და სხვ.

ცხრილი 1
საქართველოს ოჯახების განაწილება ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით (%) 1979-2002 წწ. (მოსახლეობის აღწერების მიხედვით)

წლები	ოჯახები სულ	მ.შ. ოჯახი შედგება							
		1 წევრისგან	2 წევრისგან	3 წევრისგან	4 წევრისგან	5 წევრისგან	6 წევრისგან	7 და მეტი წევრისგან	ოჯახის საშუალო სიდიდე
1979	100.0	-	21.1	19.9	25.0	16.7	9.8	7.5	4.0
1989	100.0	-	21.3	19.5	25.2	16.1	9.8	8.0	4.1
2002	100.0	16.2	17.5	17.1	21.7	13.9	8.4	5.2	3.5

ოჯახის ცვლილების ტენდენციის დინამიკაში შესწავლის მიზნით ჩვენ გამოვიყენეთ უფრო გამსხვილებული სპეციფიკური ტიპოლოგია, რომელიც მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა და ნაკლისა, საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ 1970-2002 წწ. აღწერებს შორის პერიოდში ოჯახების ტიპთა ცვლილების დინამიკა.

ცხრილი 2
მოცემული ტიპის ოჯახთა წილი ოჯახთა საერთო რაოდენობაში (%)
1970-2002 წწ.

წლები	ტიპი I	ტიპი II	ტიპი III	ტიპი IV	ტიპი V	ტიპი VI
1970 წ.	56,3	22,3	10,1	6,6	3,0	1,7
1979 წ.	57,2	17,4	8,9	10,4	1,7	4,4
1989 წ.	51,5	18,1	12,6	11,1	2,0	4,7
2002 წ.	41,5	11,8	9,8	10,0	2,4	2,3

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, 1970-2002 წწ. რთული, სრული ოჯახების წილის შემცირების (ტიპი V) ფონზე, უარყოფით ტენდენციად წარმოგვიდგება მარტივი არასრული ოჯახების (ტიპი IV) წილის ზრდა. ასეთი, ოჯახები, როგორც წესი, სრულ ოჯახში განქორწინების, ან ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების, აგრეთვე, ქორწინების გარეშე შობადობის შედეგია. მათი გარკვეული ნაწილი იქმნება ცოცხლად დარჩენილი მეუღლის და ერთ-ერთი ცალკე მცხოვრები შვილის გაერთიანებით, ასევე, მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრების შედეგად.

სრული და არასრული ოჯახების რიცხოვნობა, როგორც წესი, ყალიბდება ქორწინების, მოკვდაობის და განქორწინების პროცესთა ხანგრძლივი ურთიერთზემოქმედების შედეგად, მიუხედავად ინფორმაციის შეზღუდულობისა, ოჯახთა ამ ორი ძირითადი ჯგუფის წილების შედარება საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ, მართალია, საოჯახო სტრუქტურაზე გავლენას ახდენს მოკვდაობა და განქორწინება, რაც იწვევს საქორწინო წყვილის დაშლას და არასრული ოჯახების ჩამოყალიბებას, მაგრამ იგი არსებით ზეგავლენას ვერ ახდენს მოსახლეობის აღწარმოებაზე. მიუხედავად ამისა, ასეთი ოჯახების ხვედრითი წილის ზრდის ტენდენცია მოსახლეობის

აღწარმოების თვალსაზრისით მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას.

როგორც ცხრილი 3-დან ჩანს, ყველა ოჯახთა შორის უმრავ-ლესობას შეადგენს ოჯახები საქორწინო წყვილებით, რაც თავისთავად დადებითი მოვლენაა. ოჯახის უპირატესი ტიპი, რომელიც ყველაზე მეტად გავრცელებული იყო და არის ჩვენს ქვეყანაში, არის მარტივი ანუ ნუკლეარული ოჯახი, რომელიც შედგება ცოლ-ქმრული წყვილის შვილებით ან უშ-ვილო ცოლ-ქმრული წყვილისაგან (ტიპი I).

ცხრილი 3
ოჯახთა წილი „საოჯახო ბირთვით“ და დაქორწინებული წყვილით ოჯახთა საერთო რაოდენობაში 1970-2002 წწ. (%-ით)

ოჯახები „საოჯახო ბირთვით“ ყოველ 100 ოჯახზე				ოჯახები დაქორწინებული წყვილით ყოველ 100 ოჯახზე			
1970	1979	1989	2002	1970	1979	1989	2002
97,1	95,6	95,3	94,8	83,6	83,6	82,1	81,4

მოსახლეობის აღწერის მასალების შესწავლამ აჩვენა, რომ 1970-2002 წწ. საქართველოში, მიუხედავად “საოჯახო ბირთ-ვით” ოჯახების ხვედრითი წილის 2,3%-ით შემცირებისა, 2002 წლისათვის უმრავლესობას მაინც ისინი შეადგენენ. აქ უნდა გავითვალისწინოთ ის მომენტი, რომ ტრადიციულად ერთ-ერთი შვილი (როგორც წესი ასეთად გვევლინება უმცროსი ვაჟი), რჩება მშობლებთან, ოჯახთა გაყოფის (ნუკლეარიზა-ციის) დონე დამოკიდებულია შობადობის დონეზე. მაგალი-თად, თუ დაქორწინებულ შვილთა რიცხვი სამია, ამ შემთხ-ვევაში ერთ-ერთი მათგანი რჩება საკუთარ მშობლებთან, მეორე და მესამე გადიან ცალკე საცხოვრებლად. თუ ოჯახს გოგოს გარდა სხვა შვილი არ ჰყავთ, სიძე შესაძლებელია ცხოვრობდეს მეუღლის მშობლებთან. მოტანილი სქემატური მაგალითიდან ძნელი არ არის იმის განსაზღვრა, რომ საქა-

რთველოში შობადობის შემცირება მარტივ ოჯახთა შემცირების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს.

არსებითი ცვლილებები მოხდა ოჯახის ფორმირების (შექმნის) პროცესში, რაც უწინარესად ქორწინებით ქცევაში აისახება. კერძოდ, იზრდება პირველ ქორწინებაში შესვლის ასაკი. 1990-2010 წწ. ქალისთვის ის 23,7 წლიდან 25,8 წლამდე, ხოლო მამაკაცისათვის 27,0 წლიდან 29,5 წლამდე გაიზარდა. საქართველოსთვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ქორწინებითი ქცევის ევროპული ტიპი, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, ფუნდამენტური (ქალთა ემანსიპაცია, განათლებისკენ სწრაფვა, კარიერიზმი და ა.შ.), მეორე მხრივ, სპეციფიკური (ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური, საბინაო, ემიგრაციული, უმუშევრობის და სხვა პრობლემებით გამოწვეული ქორწინებათა გადავადება) ფაქტორებით. გარკვეული ცვალებადობის მიუხედავად 1992-2003 წლები ქორწინებათა რაოდენობის შემცირების პერიოდია, 2003 წლიდან ქორწინება საქართველოში ზრდის ტენდენციით ხასიათდება და 2003-2010 წლებში შეფასებითი მონაცემებით 12,7-დან 34,7 ათასი შეადგინა. ანუ, მოსახლეობის 1000 სულზე 3,2-დან 9,2-მდე, თითქმის 3-ჯერ გაიზარდა.

საერთოდ ქართველებისათვის გვიანი ქორწინებები არა მარტო ამჟამად, არამედ ორი ათეული წლის წინათაც იყო დამახასიათებელი. მე-20 საუკუნის 70-იან წლებშიც კი ქართველი ქალების საშუალო ასაკი პირველი ქორწინებისას საგრძნობლად აღემატებოდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ საქართველო ყოველ 20-25 წელიწადში გარკვეულწილად იმეორებს დემოგრაფიული განვითარების იმ გზას, რომელიც ევროპამ გაიარა. თუ გავითვალისწინებთ ამ გარემოებას, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 2020-2025 წლისათვის საშუალო ასაკი პირველი ქორწინებისას მიაღწევს იმ მნიშვნელობას, რომელიც ამჟამად დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში არის, ანუ დაახლოებით 30 წელს ქალების პირველი ქორწინებისას.

ოფიციალურად გაფორმებულ ქორწინებათა რაოდენობა გარკვეულწილად კომპენსირდება ჯვრისწერით და არარეგისტრირებული კავშირებით. ამას ადასტურებს ოფიციალური ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების წილის ზრდა, რაც 1990-2006 წწ. დაბადებულთა საერთო რაოდენობაში მნიშვნელოვნად 18,2-დან 54,4%-მდე გაიზარდა, თუმცა 2010 წლისთვის იგი 36,6%-მდე დაეცა. რამდენადაც ჯვრისწერა სამოქალაქო ქორწინებასთან არ არის გათანაბრებული, ამიტომ, არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა 2010 წელს ნაცვლად 36,6%-სა რეალურად – 4,0%-ია. შეფასების ამავე მეთოდით 2010 წელს, არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა 20 წლამდე ასაკის დედებში ნაცვლად 53,1%-ისა, შეადგენდა 5,1%-ს, ხოლო 20-24 წლების ასაკის დედებში ნაცვლად 34,4%-სა, 3,4%-ს. ანუ, რეალურად 10-ჯერ დაბალს.

ქორწინების გარეშე შობადობა ასევე დაკავშირებულია მოსახლეობის მორალურ-ეთიკური ორიენტაციის შეცვლასთან. საერთოდ არარეგისტრირებულ ქორწინებაში დედების უმრავლესობა ერთ შვილზე მეტს აღარ აჩენს, რაც შობადობის დონეზე უარყოფითად აისახება.

2006 წელს თბილისში ჩატარებული დემოსოციოლოგიური გამოკვლევის მიხედვით ქორწინების გარეშე შობადობას ყოველმხრივ გამართლებულად თვლის სტუდენტთა 12,1%, ასევე გამართლებულად თვლის მას ერის გამრავლების მიზნით 17,1%. გამოკითხულ რესპონდენტთა 30,0% კი, ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენას გაუმართლებლად მიიჩნევს ახალგაზრდა ასაკში და გამართლებულად მაღალ ასაკში, ხოლო ზნეობრივად გაუმართლებლად 42,8%. საინტერესოა, რომ ვაჟთა უმრავლესობა უფრო ლიბერალურად არის განწყობილი ქორწინების გარეშე შობადობისადმი. ამ გამოკითხვის მონაცემებს პროგნოზული მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ ახალგაზრდების ამგვარი დამოკიდებულების გამო, მომავალში ქორწინებისგარეშე შობადობა შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს.

ახალგაზრდების 87,9% ქორწინების რეგისტრაციას არ თვლის მოძველებულად. ასევე მაღალია სტუდენტების დამოკიდებულება რელიგიური ქორწინებისადმი – 93,8%. რესპონდენტთა 69,3%-ს მიაჩნია, რომ სადღეისოდ საჭიროა ქორწინების ორივე ფორმის ერთად არსებობა.

იურიდიულად არარეგისტრირებულ ქორწინებებს, რესპონდენტთა 8,9% ანიჭებს უპირატესობას, მათგან, ვაჟების წილი (29,3%) საგრძნობლად აღემატება ქალთა წილს (0,6%). მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ახალგაზრდების 44,7%, ანუ თითქმის ნახევარი, ნეიტრალურად არის განწყობილი ქვეყანაში არარეგისტრირებული ქორწინების ზრდისადმი, ხოლო რესპონდენტთა 35 პროცენტი დადებითადაც კი აფასებს მის ზრდას. შესაძლოა ამ განწყობამ მომავალში კიდევ უფრო გაზარდოს არარეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობა.

სათანადო ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოში მიმდინარეობს ქორწინების ფორმების გარკვეული ცვლილება, განსაკუთრებით ბოლო წლებში და ძირითადად 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებში. ახალგაზრდების დემოსოციოლოგიურ გამოკითხვას აქვს პროგნოზული მნიშვნელობა და დიდი ალბათობაა, რომ მომავალში ქორწინების რელიგიური ფორმა იურიდიულ რეგისტრაციასთან შედარებით, კიდევ უფრო გაიზარდოს. ეს თავის მხრივ გამოიწვევს არარეგისტრირებული ქორწინებების და შესაბამისად, არარეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა წილის ზრდას. ამიტომ, მოვლენები ამგვარად რომ არ განვითარდეს, საჭიროა ქორწინების ორივე ფორმა იყოს კანონიერად აღიარებული.

1990-იანი წლებიდან, მართვის ცენტრალიზებული სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიულ ტრანსფორმაციაზე არსებითი გავლენა იქონია ისეთმა სპეციფიკურმა ფაქტორმა, როგორიცაა უმუშევრობის ზრდა, რამაც უცხოეთში არალეგალური შრომითი მიგრაციის უზარმაზარი ნაკადები წარმოქმნა.

ახალგაზრდობა, რომელიც საზღვარგარეთ არსებობის საშუალებებს ეძებს, იშვიათად ქმნის ოჯახს და ასევე იშვიათად აჩენს შვილებს. გარდა ამისა, ემიგრანტები დასავლური ცხოვრების სტილის, ოჯახური ცხოვრების სხვადასხვა ფორმის, ფასეულობების შესახებ ქვეყანაში ინფორმაციის დამატებით წყაროს წარმოადგენენ.

ამ გარემოებამ საქართველოში დასავლური სოციალურ-დემოგრაფიული ქცევის გავრცელებას შეუწყო ხელი, რის შედეგადაც არატრადიციული, იაფფასიანი კულტურის გავლენისაგან დაუცველმა ქვეყანამ ადვილად და სწრაფად აითვისა დასავლეთის არა მარტო მატერიალური, არამედ კულტურულ-სულიერი ფასეულობები და ქცევის ნორმები. ოჯახის ტრადიციული ნიშნები თანდათანობით ქრება და ახალ თაობაში მისი შექმნის ახალი ფორმები და ნიშანთვისებები ფუძნდება. მოსაზრება, რომ ოჯახი, როგორც სოციალური ინსტიტუტი მოძველდა, ჯერჯერობით ჩვენთან არ არის ფართოდ გავრცელებული. მიუხედავად ქორწინებით ქცევაში არსებული უარყოფითი ტენდენციებისა, დამოკიდებულება ოჯახის ინსტიტუტთან მიმართებაში დადებითია. მართალია, თანამედროვე ევროპული ორიენტაციის ოჯახი თანდათანობით იკვალავს გზას, მაგრამ საბედნიეროდ, ღმერთის წყალობით, ჯერ კიდევ არსებობს ორიენტაცია ტრადიციულ ოჯახზე. ერთ-ერთი გამოკვლევის თანახმად ახალგაზრდობაში ტრადიციული ოჯახური ფასეულობების გავლენა ჯერ კიდევ დიდია. გოგონების 95,4%, ხოლო ვაჟთა 93,3% მიიჩნევს, რომ მის პიროვნებად ფორმირებაში ოჯახის როლი განსაკუთრებით მაღალია. მათი 60,6% ყველაზე უკეთ ოჯახში გრძნობს თავს და 81% ენდობა მშობლებს.

ოჯახის ტრანსფორმაციის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია, მისი ძირითადი ფუნქციის – რეპროდუქციული ქცევის მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც გადამწყვეტ როლს თამაშობს მოსახლეობის აღწარმოებაში. ქვემოთ მოკლედ იქნება განხილული შობადობის უახლესი ტენდენციები.

ბოლო 4 წლის განმავლობაში, წინა პერიოდთან შედარებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობის ზრდა საქართველოში. ბუნებრივია, აღნიშნული ზრდა აისახა შესაბამის შობადობის მაჩვენებლებში. მართალია, 2010 წელს 2009 წელთან შედარებით, ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა რამდენადმე შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ წინა პერიოდთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა ცოცხლად დაბადებულთა აღრიცხვა.

წინა წლებისაგან განსხვავებით, ბოლო 4 წლის მონაცემები ცოცხლად დაბადებულთა შესახებ, რომელსაც საქსტატი და შეფასება (გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე) იძლევა, დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაქსიმალური განსხვავება 2010 წელზე მოდის და 915 ცოცხლად დაბადებულს შეადგენს.

აღნიშნული ზრდა ბოლო 3 წელიწადში, წინა პერიოდთან შედარებით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო და 2010 წლისათვის 2007 წელთან შედარებით, საერთო ჯამში, 13,3 ათასი შეადგინა (იხ. დანართი, დიაგრამა 1).

საყურადღებოა, რომ მოხდა გარკვეული ცვლილებები დაბადებული ბავშვების რიგითობის წილებს შორის. კერძოდ, შემცირდა I რიგითობის დაბადებული ბავშვების წილი და გაიზარდა II და III რიგითობის ბავშვების წილი. აღნიშნული მიგვანიშნებს შობადობის პროცესში მომხდარ გარკვეულ სტრუქტურულ ცვლილებებზე (იხ. დანართი, დიაგრამა 2).

საინტერესოა იმის გამოვლენა, თუ რა სიდიდის განსხვავებაა ცოცხლად დაბადებულებში თვეების მიხედვით ბოლო წლებში (იხ. დანართი, დიაგრამა 3).

შეგახსენებთ, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია II 2007 წლის შემოდგომაზე მოუწოდა გამრავლებისაკენ და თავის მხრივ ამის განსამტკიცებლად

გამოაცხადა მესამე და შემდგომი რიგითობის ბავშვების მონათვლა.

აღნიშნულმა მოვლენამ მოახდინა გარკვეული გავლენა და შობადობა საქართველოში ამის შედეგად გაიზარდა.

მოცემულზე ნათლად მეტყველებს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობის ანალიზი თვეების მიხედვით.

სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II-ის წამოწყებულ ინიციატივას შედეგი 9 თვისა და შემდგომ პერიოდში უნდა მოჰყოლოდა. ამდენად, თუ მივიღებთ სხვაობას ცოცხლად დაბადებულთა შორის 2007 წლის თვეებთან შედარებით, შეიძლება დავადგინოთ შესაძლებელი ეფექტი.

ჩვენი გაანგარიშებით პატრიარქის მოწოდების შედეგად 2008 წელს 1300 ბავშვით მეტი დაიბადა. 2009 წელს ეფექტი მეტი იყო და პატრიარქის ინიციატივას უკვე 5 ათასამდე ბავშვის დაბადება მოჰყვა, ხოლო 2010 წელს – 4 ათასზე მეტი.

ამდენად, შობადობის ზრდა საქართველოში 2008-2010 წლებში ძირითადად განპირობებული იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის წამოწყებული ინიციატივით, აგრეთვე ცოცხლად დაბადებულთა აღრიცხვის გაუმჯობესებით და შესაძლებელია დაბადებათა კალენდრის გადმონაცვლებით.

როგორ აისახა ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობის მატება შობადობის კოეფიციენტებზე?

საქსტატის მონაცემები შობადობის კოეფიციენტის შესახებ ნაკლებია შეფასებით მონაცემებთან შედარებით. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კოეფიციენტების გაანგარიშებისას საქსტატის შემთხვევაში გამოიყენება მოსახლეობის მეტი რაოდენობა შეფასებით მონაცემებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, ორივე წყაროდან გამომდინარეობს, რომ ბოლო

3 წლის განმავლობაში შობადობის კოეფიციენტები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

საქართველოში 2010 წელს ჩატარებული ქალების რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ შობადობის ჯამობრივმა კოეფიციენტმა (ერთი ქალის მიერ ცხოვრების განმავლობაში გაჩენილი ბავშვების საშუალო რაოდენობა) უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში საშუალოდ 2,0 შეადგინა (საქსტატის მონაცემებით – 1,8, შეფასებითი მონაცემებით – 2,2).

საქსტატის შემთხვევაში 2010 წლისათვის 2007 წელთან შედარებით შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი გაიზარდა 0,38, ხოლო შეფასებითი მონაცემებით – 0,56.
შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ზრდა 3 წლის განმავლობაში აღნიშნული სიდიდით ძალიან მნიშვნელოვანია და პრაქტიკულად უპრეცენდენტოა დემოგრაფიული განვითარების მოცემულ ეტაპზე.

აღსანიშნავია, რომ შეფასებითი მონაცემებით შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის სიდიდე 2,3-ზე მეტი მიგვანიშნებს იმაზე, რომ 2009 წლიდან ისევ დაიწყო თაობათა შენაცვლების პროცესი, რომელსაც ადგილი არ ჰქონდა 1990-იანი წლების დასაწყისიდან (იხ. დანართი, დიაგრამა 5).

შობადობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც 2009 წელს მოხდა. პირველად ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოში სქესთა მეორეულმა თანაფარდობამ, ანუ ბიჭებისა და გოგონების თანაფარდობამ ცოცხლად დაბადებულებში ნორმალურ სიდიდეს მიაღწია. 2009 წელს ცოცხლად დაბადებულებში 100 გოგონაზე 104,5 ბიჭი მოდიოდა, ხოლო 2010 წელს რამდენადმე გაიზარდა და 107,9 შეადგინა. ჩვენი აზრით ასეთი ვითარება დაბადებათა აღრიცხვის სტატისტიკის მოწესრიგებასთან არის დაკავშირებული (2010 წელს რამდენადმე გაუარესდა). თვითონ შობადობის არნახული ზრდა საქართ-

ველოში გარკვეულწილად შეიცავს დაბადებათა აღრიცხვის მოწესრიგებას. ანუ, სტატისტიკის თვალთახედვის არეში წინა წლებში ცუდი მოცვის გამო არ ხდებოდა დაბადებულთა სრულად აღრიცხვა. შეიძლება ითქვას, რომ არის მოსაზრება თითქოს საქართველოში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევა ცოცხლად დაბადებულებში აქამდე გამოწვეული იყო ადრეული დიაგნოსტიკის საფუძველზე არასასურველი სქესის ბავშვის ხელოვნური აბორტით (მოშორებით) ნაკლებად სანდო აღმოჩნდა. აღნიშნულს ადასტურებს საქართველოში 2000, 2005 და 2010 წლებში ჩატარებული ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევები. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ვინაიდან რელიგიურ ქორწინებას არა აქვს იურიდიული მნიშვნელობა, ოფიციალური სტატისტიკა რელიგიურ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს ქორწინების გარეშედ მიიჩნევს.

ამდენად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ რელიგიურ ქორწინებას უნდა მიენიჭოს იურიდიული მნიშვნელობა.

ოჯახის ტრანსფორმაციის ერთ-ერთი ნიშანია განქორწინებათა ზრდა, რომელმაც 2010 წელს 1992 წლის დონეს გადააჭარბა და 1,1% შეადგინა. 2000-2010 წწ. განქორწინებულთა რაოდენობა 1854-დან 4726-მდე, ანუ 2-ჯერ და მეტად გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 2010 წელს განქორწინებულ მამაკაცთა საშუალო ასაკმა 39,3, ხოლო ქალების 36,1 წელი შეადგინა. საინტერესოა, რომ 1990-იან წლებთან შედარებით გაიზარდა რეგისტრირებულ ქორწინებაში 20 წელზე მეტი ხანგრძლივობით მყოფთა განქორწინების მაჩვენებელი და 2010 წლისათვის 22,1% შეადგინა. მისგან განსხვავებით, წინა წელთან შედარებით 4%-მდე შემცირდა 1 წლამდე ქორწინებაში მყოფთა განქორწინების დონე. საერთოდ, 2000-2010 წწ. განქორწინებულთა ქორწინებაში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა 11-12 წლების ფარგლებში ვარირებს, რაც 1990-იან წლებთან შედარებით გაზრდილია.

სახელმწიფო ვერ ასრულებს ოჯახის მიმართ კონსტიტუციურ ვალდებულებას (თუნდაც ჯვრისწერის სამოქალაქო ქორწი-

ნებასთან სამართლებრივი გათანაბრება), რომ არაფერი ვთქვათ ოჯახის სოციალურ განვითარებაზე. ამ თვალსაზრისით, უნდა მოიძებნოს ის „ოქროს შუალედი“, სადაც მოხდება ქართულ ეკლესიასთან ერთად სახელმწიფო პროგრამების ჰარმონიზაცია. ამ ასპექტით იქნებ აღარ დავუშვათ შეცდომა და მოვუსმინოთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს: **„ჩვენ უნდა ვასწავლოთ ადამიანებს სულიერი აღქმა მოვლენებისა, რათა მათ დამოუკიდებლად შეძლონ სათანადო პასუხი გასცენ დროის გამოწვევებს ... საქართველო კვლავაც აუცილებლად გადარჩება და გაბრწყინდება, მაგრამ ამას განახორციელებს ის თაობა, რომელიც ღვთის მცნების დამცველი და მისი ნების აღმსრულებელი იქნება“ (ილია II, 2008).**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დემოგრაფია. სახელმძღვანელო. მე-2 გამოცემა. შემდგენლები: გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. სულაბერიძე. თბილისი, 2009.
2. მენაბდიშვილი ლ., ახალგაზრდების სოციალიზაცია ოჯახში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2011 (ხელნაწერი).
3. რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში. მოკლე შინაარსი. მომზადებული იქნა ხოსე კარლოსამას და ვასო ეგნატაშვილის მიერ რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის შედეგების შემაჯამებელი ანგარიშის მიხედვით. თბილისი, 2011.
4. საქართველოს განათლების სამინისტროს დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის 2006 და 2008 წლების სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევების შედეგები (ხელნაწერი).
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები (ხელნაწერი).
6. სულაბერიძე ა., ოჯახის სოციალური განვითარების პრო-

ბლემები და საოჯახო პოლიტიკის კონცეპტუალური საკითხები. საქართველოს ეკონომიკური ფორუმი, ადგილობრივი (რეგიონული) ეკონომიკის განვითარების და მართვის პრობლემები. თბ., 2001, გვ. 146-158.
7. სულაბერიძე ა., ფიქრები ქართულ ოჯახსა და დემოგრაფიაზე. თბილისი, 2007.
8. ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, 2005. საბოლოო ანგარიში. რედაქტორები: ფ. სერბანესკუ, პ. იმნაძე, ზ. ბოხუა, ნ. ნუცუბიძე, დ. ბ. ჯეკსონი, ლ. მორისი. თბილისი, 2006.
9. ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა. საქართველო 1999-2000. საბოლოო ანგარიში. მოამზადა: ფ. სერბანესკუმ, ლ. მორისმა, ნ. ნუცუბიძემ, პ. იმნაძემ, მ. შახნაზაროვამ. თბილისი, 2001.
10. შინჯიაშვილი თ., საქართველოს მოსახლეობის ქორწინებითი სტრუქტურის ევოლუცია და მისი დემოგრაფიული შედეგები. ავტორეფერატი ეკ. მეცნ. კანდ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2006 (ხელნაწერის უფლებით).
11. წულაძე გ., სულაბერიძე ა., მაღლაფერიძე ნ., მამარდაშვილი გ., საქართველოს დემოგრაფიული განვითარება: გუშინ, დღეს, ხვალ. თბილისი, 2008.
12. წულაძე გ., დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2010. თბილისი, 2011.
13. Сулаберидзе А., О некоторых факторах современной трансформации общества и семьи в Грузии. Ж. «Общество и экономика», № 3-4, 2002.с.230-237.
14. Sulaberidze A., Peculiarities of Devorce in Georgia in 1960-2009. EPS 2012, PS-2, 129. Stockholm.
15. Tsuladze G., Maglaperidze N., Vadachkoria A., Demographic Yearbook of Georgia 2010. Tbilisi, 2011.

დანართი

დიაგრამა 1. ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა საქართველოში 2007-2010 წწ



დიაგრამა 2. ცოცხლად დაბადებული ბავშვები რიგითობის მიხედვით საქართველოში 2007-2010 წწ.



დიაგრამა 3. სხვაობა ცოცხლად დაბადებულთა შორის თვეების მიხედვით 2008, 2009 და 2010 წელს 2007 წელთან მიმართებაში



	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
2008 წელი, 2007 წელთან	65	434	316	144	390	319	629	785	718	738	1086	1654
2009 წელი, 2007 წელთან	767	1092	1280	838	826	1112	1278	1314	1373	1355	1058	1797
2010 წელი, 2007 წელთან	620	1139	1274	911	1110	1326	1115	967	988	925	1160	1763

დიაგრამა 4. ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა მოსახლეობის 1000 სულზე საქართველოში 2007-2010 წწ.



დიაგრამა 5. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი საქართველოში 2007-2010 წწ.



დიაგრამა 6. ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების წილი (%) ყველა დაბადებულს შორის საქართველოში 2006-2010 წწ. (საქსტატის მონაცემებით)



საქართველოს
მართლმადიდებელ ეკლესიასთან
არსებული ქრისტიანული კვლევის
საერთაშორისო ცენტრი

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის
საქველმოქმედო ფონდი

ISSN 2298-0199
UDC (უაკ) 323.1+271.22](479.22)
ე-811